საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/59

ქ. ბათუმი 26 ნოემბერი, 2014 წ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის №01-08/52 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები საბჭოს უფლაბამოსილების დარჩენილი ვადით შემდეგი ფაკულტეტებიდან:
   ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან 1 სტუდენტი;
   ბ) ტურიზმის ფაკულტეტიდან 1 სტუდენტი.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტზე ჩატარდეს 2014 წლის 10 დეკემბერს, ხოლო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 11 დეკემბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 სათზე და მთავრდება 17 საათზე), კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N3) 2014 წლის 28 ნოემბრიდან – 2014 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა 10 საათიდან 16 საათამდე;
3. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
4. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად).
5. ბრძანება ჩაბარდეთ შესაბამისი ფაკულტეტების დეკანებს, განთავსდეს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**